580

ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 პარასკევი, 7 დეკემბერი № 166

1663

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе». ტელეფონი № 372.**

მიიღება ხელის-მოწერა **1902** წლისათვის

„მოამბე“-„ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანი დამატებით.

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე“

(წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ გარეთ:	
1 წლით	10 მ.	1 წლით	13 მ.
6 თვით	6 „	6 თვით	7 „
„	3 „	3 „	5 „

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ გარეთ:	
1 წლით	6 მ.	1 წლით.	11 მ. —კ.
6 თვით	4 „	6 თვით	6 „ 50 „
1 „	75 „	1 „	1 „ 10 „

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა აქმნეს შემოტანილი.

სურათებიანი დამატება

გაეგზავნება მხოლოდ ორივე გამოცემაზე ხელის მომწერთ.

წლიური ფასის განაწილება სამივე გამოცემაზე: პირველად—6 მან., 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—2 მან.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კაპ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

რედაქცია და **კონტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. **ტელეფონი** № 372.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели.“**

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი, ტელეფონი. 791.

გამოვიდა და იყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში:

საქართველოს რუსეთთან შეერთება

(რუსულად)

მაჩ. ხელთუფლიშვილისა,

ფასი 40 კაპ.

ვინც ნაღდ ფულზე გამოიწერს არა ნაკლებ ათ ცალს, წიგნი დაეთმობა 30 კაპ. და ჩვენი ხარჯითაც გაეგზავნება—ადრესი. ქუთაისი, ალ. ჭრაბიძე. (5—6.—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

მ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

ი. ბ. ფელდორფი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

ბ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ექ. ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე,

ა. ზ. ბარხუძოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1½—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 7—8 საათამდე.

ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ(

ტელეფონი № 274. (წლ.)

თეატრი და ხალხი

—

ვინც თვალ-ყურს ადევნებს, არ შეიძლება არ მიაქციოს ყურადღება ერთს ღირსშესანიშნავ გარემოებას: ქართულ დაწესებულებათა ხასიათი თანდათან ფერს იცვლის და საზოგადო საქმისადმი ინტერესი ცხოველდება. „წ. კ. საზოგადოების“ კრებაზე ჩვენმა „მოღვაწეებმა“ ნახეს იმისთანა ხალხი, რომლის მოსვლას არ მოელოდნენ და რომელიც დღემდე ჩვენს საზოგადო საქმეებში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა. ბევრს ეუცხოვა ამ ხალხის გამოცხადება, ბევრნი ამბობდნენ, ეს რა ამბავიაო. წ.-კითხვის საქმე რა საქმეა იმისთანა, რომ მიიზიდა თავისკენ ხალხი ისე, როგორც თაფლი იზიდავს ხოლმე ბუზებს? ან იქნება ჩვენდამი ნდობა არ აქვთ? არა სჯერათ, რომ შეგვიძლიან ხალხის ხელმძღვანელობა და საქმის გაძღოლა?.. ასე იყო თუ ისე, წარსულმა „სხდომებმა“ დაგვარწმუნეს, რომ ხალხს არამც თუ კითხვის ხალისი გაეღვიძა, თვით «საქმეში» ჩადგომის სურვილიც.— ბევრს ამბობდნენ და ამბობენ, რომ ხალხი მოუმზადებელია და ამაში ეჭვიც არ არის, რომ იგი (უმრავლესობაში) მოუმზადებელია, საგულისხმოა მხოლოდ ის, რომ მის ერთ ნაწილში მაინც დაიბადა მტკიცე სურვილი წარმატებისა და თვით მოქმედებისა.

შეიხედეთ ახლა ქართულ თეატრში? შეიარეთ იქ კვირა დღეს, როდესაც ადგილების ფასი დაწეულია, ვის ნახავთ იქ? ვინ არის ქართულ თეატრის მაყურებელი, გულის შემატკივარი? ტყუილად დაუწყებთ აქ ძებნას ჩვენს „განათლებულ“ ახალგაზრდობას, შავ ფრაკებში გამოწყობილებს, ან კიდევ „ბრწყინვალე“ ლეკურა-გმირებს, ხანჯალ-დამბაჩით შეიარაღებულებს. ამაოდ დაიწყებთ ძებნას „წარჩინებულ“ ნაზ ქმნილებათ, მათ ქალიშვილებს. ყველა ამათ აქ ვერ ნახავთ. ჩვენს თეატრში მათ ადგილი არა აქვთ. ამ „საზოგადოების“ ფაქიზი ნერვები და გაშალაშინებული გემოვნება ვერ უძლებს ქართულ სცენას—იქ ყველა აჯავრებს და აბრაზებს მას. ის დაჩვეულია ზომიერ კეთილშობილურ მიხვრა-მოხვრას, არა ნაკლებ ზომიერ და განსპეტაკებულ გულის თქმას. მისი განაზებული ყური ვერ იტანს უხეშს ქართულ ლაპარაკს და ქართულ თეატრში რომ წავიდეს, რისთვის წავიდეს—სხვა არა იყოს რა, აქ ჰხედავს იმისთანა ხალხს, რომელსაც სხვა დროს, შორიდან თუ მოჰკრავს თვალს დუქანში, მაღაზიაში, ბაზარში და ქუჩაში. ქართულ თეატრშიაც თუ ვინმე დადის, ისევ ეს ხალხი დადის. ეგრედ წოდებული «საზოგადოება» არ ეკარება მას, ქართული თეატრი, ეს საუკეთესო და ძვირფასი ეროვნული დაწესებულება, ხალხით სცოცხლობს და ხალხით ჰხარობს. ქართული თეატრიც, თანდათან ხალხურ თეატრად ხდება.

დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ კარგად შეიგნო ჩვენი დროის მოთხოვნილება და შრომას არ ზოგავს, რათა ხელი შეუწყოს ამ მოთხოვნილების წარმატებას. მადლობის ღირსნი არიან ამ გამგეობის წევრნი, ჩვენი დაუღალავი არტისტები და ყველა ისინი, ვინც სასიქადულო მომავალს გვიმზადებენ. თეატრის და ხალხის დაახლოვება ამ მომავალის ერთ-ერთი საბუთია

არჩილ ჯორჯაძე.

შინაური აღზრდა ჩვენში

—

თვითეულმა კარგად იცის თავისი საკუთარი ცხოვრებიდან და სიყმაწვილის მოგონებიდან, რომ ყველაფერი, რაც-კი პატარობისას ჩაბეჭდილა და ჩანერგულა ჩვენს ნერვებში და გონებაში, აღარ ჰქრება, სიკვდილამდის თან დაგვდევს და ხშირად დიდი გავლენაც აქვს ჩვენს მოქმედებაზე. ამისი უმთავრესი მიზეზი, ერთი მხრით, ის არის, რომ ყმაწვილის ჩვილი გული და სული წმინდა ნიადაგს წარმოადგენენ, რომელზედაც ყველაფერი ნახული, თუ გაგონილი ისე ღრმად იბეჭდება, რომ მისი სრულებით ამოშლა და გაქრობა შეუძლებელია: მეორე მხრით, რადგანაც დედ-მამისთანა საყვარელი სხვა არავინ არის ბავშვისთვის, ამიტომ ყველაფერს მათგან ნათქვამსა და ნაჩვენებს დიდი სიხარულით ითვისებს და იმარხავს იგი გულში. ამას გარდა პატარები, რადგანაც მათი ჭკუა-გონება ძლიერ სუსტია და ავსა და კარგს ვერ არჩევს, მხოლოდ მიბაძვით სცხოვრობენ და რასაც ოჯახში დაინახვენ, იმას ითვისებენ და სცდილობენ თვითონაც გაიმეორონ ანუ განაახლონ.

ამ მიზეზებისა გამო განათლებული მშობლები ყოველთვის სიფრთხილით იქცევიან და მუდამ სცდილობენ ყველაფერი კარგი დაანახვონ ყმაწვილს და ცუდ მაგალითებს აშორონ, რადგანაც კარგათ ესმით, უკეთუ ყმაწვილმა ოჯახში ცუდი მიდრეკილება და ჩვეულება შეიძინა, მერმე მისი გასწორება მეტის-მეტად ძნელია. ამ გვარად შინაურ აღზრდას პირველი ადგილი უჭირავს ბავშვის ცხოვრებაში, ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს და მშობლების მაგიერობა ამ საქმეში სხვას არავის არ შეუძლია. ერთი სიტყვით, ჩვენ გაბედვით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ახალი თაობის ბედ-იღბალი უპირველეს ყოვლისა შინაურ აღზრდაზეა დამოკიდებული და უამისოთ ვერც ერთი სკოლა, რაც უნდა კარგად იყოს მოწყობილი, ვერას გახდება. ჩვენი ერის სიბრძნეს ძლიერ კარგად გამოუხატავს თვისი შეხედულება და აზრი ამ საგნის შესახებ: „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე“.

ვნახოთ ეხლა, რას წარმოადგენენ ჩვენი ოჯახები ამ მხრით. შეცდომა არ იქნება ვსთქვათ, რომ ათასში ერთს ვერ ნახავთ ჩვენში ისეთს ოჯახს, რომელსაც ესმოდეს თვისი დიდი დანიშნულება და პატარებს ისე უვლიდეს და ჰზრდიდეს, როგორც საჭიროება მოითხოვს. განათლებული მშობლები, მის ნაცვლად, რომ პატარობითვე შეასწავლონ თავიანთ შვილებს დედა-ენა და ჩაუნერგონ ამ ენის, მამულისა და ხალხის სიყვარული, სულ უცხო ენაზე ეტიტინებიან მათ და ასე გასინჯეთ, ბევრი მათგანი ნებასაც კი არ აძლევს, რომ ქართული ენა სკოლაში მაინც ისწავლოს ყმაწვილმა. ასეთი უკუღმართი მაგალითები ყველას ეცოდინება, ვისაც თვალ-ყური უდევნებია ქართული ენის სწავლების მდგომარეობისათვის ჩვენს სასწავლებლებში, სადაც კი სავალდებულო არ არის ქართული ენის შესწავლა. ჩვენ თვითონ მოგვსვლია ბევრჯელ მშობლებისაგან ასეთი ბარათი: „გთხოვთ განათავისუფლოთ ჩემი შვილი ქართული გაკვეთილებისაგან!“

რაიცა შეეხება უსწავლელ მშობლებს, მათ ფიზიკურად თუ მოუარეს და აღზარდეს თავიანთი შვილები, ისიც დიდი ბედნიერება იქნება; სულიერ აღზრდაზე და მომზადებაზე ზრუნვა ოჯახში მათ სრულებით არ შეუძლიანთ, რადგანაც ამ საქმეში სრულებით უმეცარნი არიან. ასეთ ოჯახებში, სამწუხაროთ, პატარები ხშირად ისეთ ამბებს ჰხედვენ და ისმენენ, რასაც ძლიერ ცუდი გავლენა აქვთ მათზე. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საკმარისია მოვიხსენოთ მხოლოდ ლოთობა, რასაც ძლიერ ხშირად ჰხედვენ პატარები სოფლებში და თვითონაც ეჩვევიან პატარაობიდამვე მომეტებულ ღვინის სმას.

განათლებულ ქვეყნებში მშობლები იმას გარდა, რომ ბევრ საშუალებას ჰხმარობენ თავიანთ შვილების სავარჯიშოდ და მოსამზადებლად სკოლისთვის, იწერენ მათთვის სხვა და სხვა საყმაწვილო ჟურნალებსა და წიგნებს და ამრიგად აჩვევენ კითხვას. ასეთ ქვეყნებში მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ათობითა და ასობით გამოდიან ასეთი საყმაწვილო ჟურნალები და ყველანი მუშტარს ჰპოულობენ. ჩვენში კი ერთად-ერთი საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ გამოდის აგერ ათი წელიწადი მეტია და დღემდის, ჩვენდა სასირცხვილოდ, თანაგრძნობა ვერ მოუპოებია და მუშტარი ვერ უშოვია. ეს საყმაწვილო ჟურნალი თუ არა სჯობია თავისი ღირსებით, ნაკლები არ არის სხვა ასეთ ჟურნალებზე, მაგრამ მაინც დღემდის მის ხელის მომწერელთა რიცხვი ორასს არ აღემატება! ნუ თუ ეს სამწუხარო მოვლენა უტყუარი მოწამე არ არის იმისი, რომ შინაური აღზრდა ჩვენში ჯერ ჯერობით არც კი აღორძინებულა!

წვადტუბელი.

დეპეშა

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

5 **დეკემბერი**

პეტერბურგი. 5 დეკემბერს საიმპერატორო სასწავლებელმა მართლ-მსაჯულებისამ იდღესასწაულა თავისი არსებობის 66 წლის თავი.

ბერლინი. პრინცი ჰენრიხი დილით ახალ სასახლეში მოვიდა. დილით იმპერატორი ხელმწიფე მემკვიდრის და პრინც ჰენრიხის თანამგზავრობით წავიდა ხოხბებზე სანადიროდ ვილდპარკში, შემდეგ ახალ სასახლეში იქნება გამართული საუზმე. საღამოთი იმპერატორი ხელმწიფე მემკვიდრესთან ერთად ღირს ჰყოფს რუსეთის ელჩს მასთან სადილზე მობრძანებით. ულანის პოლკის უფროსი პოდპოლკოვნიკი გუსტედტ წარსდგა წინაშე იმპერატორისა და პოლკის შეფისა ხელმწიფე მემკვიდრისა. გუშინდელ სადილზე მათი უდიდებულესობანი ერთმანეთის პირდაპირ ისხდნენ, დედოფლის მარჯვნივ ადგილი დაიჭირა ხელმწიფე მემკვიდრემ.

ბერლინი. რუსეთის საელჩოში სადილს დაესწრნენ ხელმწიფე მემკვიდრე, იმპერატორი ვილჰელმი და სხვანი. საღამოს 11 საათზედ ხელმწიფე მემკვიდრე გამოემგზავრა პეტერბურგისკენ, ვაგზალზე მისი იმპერატორებითი უმაღლესობა გააცილეს იმპერატორმა, პრინცმა ჰენრიხმა და პრინცმა ეიტელ-ფრიდრიხმა. ხელმწიფე მემკვიდრე მობძანდა გერმანიის იმპერატორის საკუთარის მატარებლით. იმპერატორს ეცვა თავის სახელის რუსის დრაგუნის პოლკის ფორმა, ხოლო ხელმწიფე მემკვიდრეს თავის სახელის პრუსიის ულანის პოლკის ფორმა.

კალუგა. საგუბერნიო საერო კრება დაიხურა. სულ გაირჩა 150-მდე სხვა-და-სხვა მოხსენება.

ეკატერინოსლავი. 4 დეკემბერს საბჭომ დაასრულა 1902 წლისთვის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება. სულ ხარჯი უდრის 962,000 მანეთს, აქედან ხალხის განათლებისათვის 176,000 საექიმო ნაწილისთვის 118,000, ქალაქის მოწყობისათვის 172,000 და ახალ შენობებისთვის 100,000 მან.

ტამბოვი. საგუბერნიო საერო კრებამ დიდი რეფორმა დაიწყო საერო დასაზღვევ საქმეში: მან დაუკლო ერთ-ნახევარი სარგებელი სავალდებულო დაზღვევაში გადასახდელი ფულისა, როგორც ნორმალურში, აგრეთვე განსაკუთრებულში, 50% ასწია შენობათა დაფასება და გააფართოვა ნება ყოფლობითი დაზღვევა; გადასწყვიტა დასაზღვევად მიიღებოდეს ქალაქის შენობები 60,000-დის, ხოლო სოფლისა 10,000-დის, ამასთანავე ტარიფი დაკლებული იქნება 25% წინაალმდეგ დამზღვევ საზოგადოებათა.

ვილნო. საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა წრემ, ოლქის მზრუნველის პაპოვის თაოსნობით, გახსნა საღამოობით საზოგადო კურსები.

პეტერბურგი. 4 დეკემბერი. ბირჟა. აქციები ნავთის მრეწველობის და სავაჭრო საზოგადოებისა ა. ი. მანთაშევი და კომპ.—147 წვრილმანი გაყიდული. გირავნობის ფურცლები ქუთაისისა და ტფილისის სადგილ-მამულის ბანკებისა ბირჟაზე არ ყოფილა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

გერმანია. როცა ბებელმა ლაპარაკი დაასრულა, რეიხსტაგის თავმჯდომარე გრაფი ბალესტრემი წამოდგა და გამოაცხადა: დეპუტატმა ბებელმა ცუდად მოიხსენია გრაფი არნიმი: «სულ-მდაბალი და ბრიყვი ხარო». ამაზე შენიშვნას ვაძლევ ბ-ნ ბებელს (კონსერვატორები იძახიან: «ვაშა!»), ამავე დროს ჩემ მოვალეობად ვსთვლი გამოვაცხადო, რომ დეპუტატმა გრაფმა არნიმმა თავისი ურიგო გამოთქმით მოთმინებიდან გამოიყვანა დეპუტატი ბებელი და იძულებულ ჰყო ეს პასუხი მიეცა (მემარცხენენი იძახიან: «ვაშა!»). გრაფმა არნიმმა ლაპარაკის ნება ითხოვა. პრეზიდენტმა უპასუხა: მერე ილაპარაკეთ, ეხლა ფინანსთა მინისტრმა რეინბაბენმა უნდა ილაპარაკოსო.

მინისტრი, ხომ იცით, იმასვე ილაპარაკებდა, რასაც სხვა მინისტრები და კონსერვატორები ლაპარაკობდნენ. ამიტომ მის ნალაპარაკევს აღარ მოგახსენებთ. ბაჟების წინააღმდეგ თავისუფლად აზრეთა მეთაურს დეპუტატს რიხტერსაც მშვენივრად ელაპარაკნა. სამწუხაროდ, უადგილობის გამო მისი მშვენიერი ოხუნჯობით სავსე სიტყვა ვერ გადმოვთარგმნეთ.

საფრანგეთი. იქნება გახსოვდეთ პროფესორი ერვეს საქმე. ამ პროფესორმა, წინადაც ხომ მოგახსენეთ, გაზეთ «პიუპიუ»-ში წერილები დაბეჭდა და მილიტარიზმი და მუდმივი ჯარები სასტიკად დაჰგმო. სანამ მუდმივი ჯარები არ მოისპობა, კაცობრიობას არა ეშველება რაო. ამ წერილების გულისათვის დიჟონის აკადემიის საბჭომ ერვე 1½ წლის ვადით თანამდებობიდან გადააყენა. მუდმივი ჯარის მტერ პროფესორს საბჭოს გადაწყვეტილება არ მოეწონა და ამიტომ საერო განათლების უმაღლეს საბჭოში გადაიტანა თავისი საქმე. გაზეთ «ტანში» დაწვრილებითაა აწერილი ამ საქმის გარჩევა:

უმაღლესი საბჭოს კრების დროს საერო განათლების მინისტრი ლეიგი იყო თავმჯდომარედ. დისციპლინარული კომისიის მომხსენებელმა-წევრმა პროფესორმა ესმენმა თავდაპირველად სთქვა: პროფესორი ერვე ძალიან კარგი პროფესორია და მის მოღვაწეობას უნივერსიტეტში არაფერი წუნი არ დაედებაო. ერვეს პოლიტიკურ აზრებს მაინც ვერ გავამართლებ და ამიტომ, ჩემის აზრით, დიჟონის საბჭოს დადგენილება უნდა დამტკიცდესო. მოხსენების წაკითხვის შემდეგ ერვეს ადვოკატმა ბრიანმა მოითხოვა: საბჭოს დადგენილება მთლად გაუქმდეს და საქმე ხელ-მეორედ აკადემიის საბჭოს გადაეცეს განსახილველადაო, რადგანაც საბჭოს საიდუმლოდ ისეთი საბუთები წარუდგინეს, რაც წინად ბრალდებულმა არ იცოდაო. ხსენებული საბუთები იმიტომ წარმოუდგინათ საბჭოსათვის, რომ ზოგიერთი წევრისათვის, ვინც ერვეს დასჯას ვერა ჰბედავდა, მალა დაეტანებინათ და უდანაშაულო, ჭეშმარიტების და კაცთ-მოყვარეობის მქადაგებელი პროფესორი გაემტყუნებინათო. საბუთები ბევრნაირი ყოფილა: აქ იყო ზოგიერთი მშობლის წერილები;—მშობლები ჩიოდნენ ვითომ ლიცეის (სადაც ერვე იყო პროფესორად) პროფესორები კარგად ვერ იქცევიანო; იყო აგრეთვე აკადემიის ინსპექტორის მოხსენება. ინსპექტორი სწერდა: ლიცეის მოსწავლეები ორ დასად გაიყვნენ: ერთი რიგი «ნაციონალისტია», მეორე—«ანტი-ნაციონალისტია». მოსწავლეები, პროფესორების მაგალითით წაქეზებული, პოლიტიკას მისდევენო და სხ. და სხვა. უმაღლესმა საბჭომ ამის შემდეგ დაადგინა: დიჟონის საბჭოს დადგენილება გააუქმეთ და ჩვენ თითონ გავარჩიოთ ეს საქმეო. ერვემ თავის თავის დასაცველად მთელი 2½ საათი ილაპარაკა და საბუთებით დაამტკიცა, ჩემ დღეში სწავლის დროს კლასში პოლიტიკაზე ხმაც არ ამომიღიაო. მაგრამ მე ბრალად იმას მდებენ, რომ კლასს გარედ ცუდად იქცეოდიო ამიტომ ერვემ ზედ მიწევნით აღნიშნა, თუ რა განსხვავებაა, რა საზღვარი სძევს მასწავლებლისა და მოქალაქეს შუა, როგორ უნდა იქცეოდეს მასწავლებელი სკოლაში, როგორ უნდა ასრულებდეს თავის ხელობას და რანაირად უნდა იქცეოდეს იგივე მასწავლებელი გარედ, რანაირად უნდა ასრულებდეს თავის მოქალაქეობრივ უფლებას. დასასრულ ერვემ ახსნა თავისი წერილები «პიუპიუ»-ში რომ დაბეჭდა და სთხოვა საბჭოს თავისუფლებას ნუ გამომწირავთო: როგორც უნივერსიტეტის ყოველ წევრს, მეც უფლება მაქვს, ჩემი აზრები თავისუფლად გავავრცელო და ჩემი მოვალეობა, როგორც მესმის, ისე შევასრულოო. წერისა და აზრის თავისუფლების შეზღუდვა არ ეკადრება ჩვენ თავისუფალ ქვეყანასაო.

უმაღლესმა საბჭომ 1½ საათი ითათბირა და 38 ხმის უმეტესობით 13 წინააღმდეგ ერვე თანამდებობიდან გადააყენა. ეს ხომ დეპეშიდანაც გეცოდინებათ. კლემანსოს გაზეთი «ორორა»-ი სწერს: ერვე სახელმწიფო საბჭოში აპირებს ჩივილსაო.

კონსერვატორების გაზეთები სწერენ: პროფესორი ლაპიკის წერილიც კანონის წინააღმდეგია, რადგანაც ლაპიკი აშკარა ურჩობას უწევს სამხედრო დისციპლინარულ საბჭოსაო. ეს გაზეთები სთხოვენ საერო განათლების მინისტრს, დამნაშავე პროფესორი ლაპიკი უსათუოდ სამართალში მიეციო.

ამ საქმეზე დეპუტატთა პალატაშიაც ყოფილა ლაპარაკი. ამას კიდე შემდეგში მოგახსენებთ.

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 6 დეკემბერს, მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის **ხელმწიფე-იმპერატორის ნიკოლოზ ალექსანდრეს** მის სახელობის დღეს, საქართველოს საეგზარხოსოს დროებითად მმართველმა გორის ეპისკოპოსმა კირიონმა საეგზარხოსო ეკკლესიაში გარდაიხადა წირვა და პარაკლისი. წირვას დაესწრო კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გოლიცინი, კავკასიის სამხედრო კორპუსების უფროსნი თავ. ამირეჯიბი და ზეზემანი, ტფილისის ვიცე-გუბერნატორი, თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, ქალაქის მოურავის მოადგილე და სხვა სამხედრო, სასულიერო და საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელნი და გარეშე ხალხიც. დღისით ქალაქი მორთული იყო დროშებით, საღამოს კი გაჩირაღდნებული.

◆ როგორც შევიტყვეთ, მიწად მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გადაუდვია ამ სამინისტროს კავკასიის რწმუნებულის განკარგულებაში 25-ათასი მანეთი, რომელიც უნდა მოხმარდეს კავკასიაში **შინაურ-მრეწველობის** გაუმჯობესობის საქმეს. ერთი ნაწილი ამ ფულისა გადადებულია იმ განზრახვით, რომ კავკასიის მცხოვრებთა შორის შეიკრიბოს საოჯახო მრეწველობის ნაწარმოებნი და გაიგზავნოს ექსპონატებად სრულიად რუსეთის შინა-მრეწველობის გამოფენაზე, რომელიც გაიმართება პეტერბურგში მომავალ 1902 წლის გაზაფხულს.

◆ ფოთიდან შემდეგ სამწუხარო ამბავს იტყობინებიან: „4 დეკემბერს, დილის 4 საათზე, სწორედ იმ დროს, როდესაც მთელი ქალაქი დილის ტკბილს ძილს მისცემოდა, ისეთი გულ-შემზარავი ზარის რეკა და ხე-ტყის მწარმოებელთა ორთქლის მანქანების კივილი მოისმა, რომ მსმენელს გულს უღონებდა. ქალი და კაცი—ყველა იქითკენ მიეშურებოდა, სადაც ვეებერთელა ალი მთელს არე-მარეს აჩირაღდნებდა. შორიდან გვეგონებოდათ, ცეცხლი ხე-ტყის ქარხნებს გაჩენიაო, რომლებიც მდ. კაპარჭის ნაპირას არის, მაგრამ არა. ვიღაც ბოროტი ადამიანის ხელით გაჩენილ ცეცხლით იწოდა საბრალო მუშა ხალხის თივის ზვინები, რომლებიც „პარკის“ ბოლოში პალეოსტომის ტბის ახლოს მდ. კაპარჭის ნაპირას იყო დადგმული. საოცარის ალის ტრიალის დროს, ერთის მხრით ადამიანს თვალწინ მშვენიერი სურათი ეფინებოდა გაჩირაღდნებული პალეოსტომის ტბის ნაპირებისა და პარკის მიდამოებისა, მაგრამ მეორეს მხრივ კი, მაყურებელს გულს უღონებდა შესაზარი ტირილი იმ საწყალი ხალხისა, რომელთაც 3000 მან. მეტი ზარალი ნახეს: კიდევ იღბალი, რომ მყუდრო ღამე იყო და არსაიდან ქარი არა ჰქროდა, თორემ, თქვენი მტერია, თივის ზვინები სულ ერთიანად გადიბუგებოდა და მასთან ხე-ტყის საწყობი ქარხნებიც, რადგანაც ცეცხლის საქრობი მანქანა აქ სანთლით საძებარია“.

◆ „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ სიტყვით, სამი კვირაა მას აქეთ, რაც გუდაუთის მცხოვრებთა ყრილობა მოხდა; ამ ყრილობაზე აღიძრა კითხვა, რომ **მიიღონ ზომები ქურდობის მოსასპობად**, რომელიც ძალიან გავრცელდა ამ ბოლოს დროს და ძალიან მოხერხებულადაც ხდება. ყრილობამ ერთის ხმით დაადგინეს, რომ ამ გადაწყვეტილების ძალით 15 გუდაუთელი, რომელნიც ქურდობაში შენიშნულები არიან, განდევნონ საზოგადოებიდან. ეს გადაწყვეტილება დღემდის არ არის შესრულებული, და ის გასადევნი პირები თავისუფლად დასეირნობენ, ახდენენ ყოველ სისაძაგლეს და უწესოებას; ამასთანავე ემუქრებიან იმათ, ვინც გადაწყვეტილებას ხელი მოაწერა. ბევრს ეშინიან, რომ ეს ბატონები სიტყვიდან საქმეზე გადავლენ და ამის გამო შიშით ცახცახებენ. დიდად სასურველია, რომ ეს თავმომაბეზრებელი და არა სასურველი ხალხი გუდაუთიდან განიდევნოსო,—დასძენს გაზეთი.

◆ „კავკაზს“ ატყობინებენ, რომ ტფილისში დაარსდა ამხანაგობა, რომელსაც განზრახვა აქვს გამართოს ბორჯომსა და აბასთუმანს შუა ზაფხულობით **თვით-მავალის** (ავტომობილი) მიმოსვლა. ამხანაგობას უკვე მიუმართავს გუბერნიის მმართველობისათვის თხოვნით, რომ ნება მისცენ, გახსნან მიმოსვლა თვით-მავალი-ომნიბუსებით დასახელებულ ადგილებს შორის.

◆ ამ ჟამად განსაკუთრებითი კომისია შინჯავს **პირუტყვთა მფარველ ტფილისის საზოგადოების წესდებას**, რომ შეავსონ იგი და შესცვალონ ზოგიერთი მუხლები. ფიქრობენ, ამ საზოგადოებას სახელი ასე გამოუცვალონ „პირუტყვთა მფარველი კავკასიის საზოგადოება“.

◆ ქუთაისიდან გვწერენ: «2 დეკემბერს აქაურმა სომხის მღვდელმა ტერ-იოსებმა კერძოდ მიიწვია თავის სახლში სომხეთა წარმომადგენელნი და გამოუცხადა, რომ **ტერ-დავით იარალოვი** კეთილ-სინიდისიერად ემსახურა ქუთაისის სომხეთა საზოგადოებას თითქმის 42 წელიწადი და ურიგო არ იქმნება, რომ იუბილეის გადახდით პატივი სცეთო. იქ დამსწრე საზოგადოებამ ერთხმად დაადგინა იდღესასწაულონ ეს იუბილეი. 24 დეკემბერს იქმნება გარდახდილი მისი იუბილეი და იმედიცა აქვთ, რომ ყველა სომეხი სიხარულით მიეგებება ამ მართლა დამსახურებულ მოღვაწის დღესასწაულს“.

◆ ხვალ **სახალხო წარმოდგენებისა და კითხვათა სადგომში** ქართული სცენის მოყვარენი წარმოადგენენ აზიანის 2 მოქმედებიან კომედიას „გაცრუებული იმედები; წარმოდგენა საღამოს 7½ საათზედ დაიწყება.

◆ მკითხველებს ეცოდინებათ, რომ მომავალს წელში რუსეთის პრესსა და საზოგადოება ემზადება პატივი სცეს რუსეთის დიდებულს მწერალს **ნ. ვ. გოგოლის** სახელს. როგორც შევიტყვეთ, აღნიშნულ მწერლის სახელის პატივისაცემლად ტფილისის დედათა და ვაჟთა გიმნაზიებსა და სხვა სასწავლებლებში გაიმართება სალიტერატურო და სამუსიკო საღამოები, რომელთა პროგრამის შედგენას უკვე შეუდგნენ.

◆ ტფილისის სახაზინო პალატა აცხადებს, რომ ყველა სახლის პატრონი ანუ სახლის მმართველი 15 დეკემბრიდან ამა წლისა 9 იანვრამდე 1902 წლისა ვალდებულია წარადგინოს **ქალაქის ბინის გარდასახადის** საკრებულოში განცხადება მაზედ, თუ რამდენი საცხოვრებელი სადგომია შენობაში, და რომ ის პირნი, რომლებიც კანონით განთავისუფლებულნი არიან სადგომების გარდასახადისაგან, ვალდებულნი არიან ამავე ვადაზე შეიტანონ განცხადება ქალაქის სახლების გარდასადის საკრებულოში.

განცხადების ბლანკები შეიძლება მუქთად მოიპოვონ საქმის დღეებ და საათებში 1 დეკემბრიდან ამა წლისა სახაზინო პალატაში, ხაზინებში საქალაქო სახლების გარდასახადის საკრებულოებში, ტფილისში კი უბნის ბოქაულების სამმართველოებშიაც.

◆ მოგვივიდა მე-11 ნომერი საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილის“ შემდეგის შინაარსისა:

1) მწუხარე კურდღლები (რუსულიდან). 2) ორი კოლო (თარგმანი). 3) ყმაწვილები და ჩიტი, პლეშჩეევიდან—შ. მღვიმელისა. 4) მამულის სიყვარული დე—ამიჩისისა. თარგმანი—ტ. კ—ლისა. 5) კრუხი და გუგული (თარგმანი). 6) მცენარე და მისი ცხოვრება—ი. გომართლისა. 7) ლედი ჯენ. მოთხრობა, გაგრძელება—ელ. წერეთლისა. 8) თუთიყუში და ბელურა თარგმანი. 9) ქვის საუკუნის ბავშები (დასასრული) ეკ. მ—სა. 10) მეგობარი ამბავი—ქეთო ზარაფიშვილისა. 11) ალალ-მართლობა (რუსულიდან). 12) ორი მხატვარი. 13) წვრილმანი: ისტორიული აკროსტიხი, გამოცანები, ანდაზები, ჩქარა-გამოსათქმელი, უჯრების ამოცანა, რებუსი და სხვა.

◆ მოგვივიდა მე 12 № რუსულ ჟურნალის „КАВКАЗСКІЙ ВѢСТНИКЪ“-ისა, რომელშიაც, სხვათა შორის, დაბეჭდილია: „დიდებული ნათესავი“ მოთხრობა ვედრებისელისა, არხეოლოგიური გამოკვლევანი ბარონ დებაის, ლ. ისარლოვის მოგონებანი კავკასიის მთავარ-მართებლის მურავიოვის შესახებ და სხვა.

◆ ტფილისის სამუსიკო სასწავლებლის გამგეობას ქალაქის სამართველომ უფასოდ დაუთმო წყალი, ვიდრე სასწავლებლის ახალ შენობას დაამთავრებდნენ იმ პირობით, რომ წყალს წყლის საზომით ხმარობდნენ საჭიროებისათვის.

რუსეთის ქრონიკა

∝ 27 მომავალ მარტს მოსკოვში მოხდება ცეცხლის საწინააღმდეგო რუსეთის ყველა საზოგადოებათა წარმომადგენლების კრება, რომელიც 7 დღეს გასტანს. კრების დროს მოხდება გამოფენა და გამოცდა ცეცხლის მქრობ ახალ მანქანა-იარაღებისა.

∝ იანვარში მოსკოვში მოხდება მცხოვრებთა აღწერა მათ რაოდენობის გამოსარკვევად. საქალაქო მმართველობას მოუხდენია თავდა-პირველი აღწერა და აღმოუჩენია, რომ მოსკოვში სცხოვრობს 1.126.750 კაცი.

∝ ფინანსთა სამინისტრომ განმარტა, რომ წიგნების ავტორთა და გამომცემელთა თხოვნები, რომელთაც ისინი წარუდგენენ საერო განათლების სამინისტროს სამეცნიერო განყოფილებას, თავისუფალნი არიან საღერბო გარდასახადისაგან.

∝ შინაგან საქმეთა სამინისტრო ადგენს ამ ჟამად ახალ წესებს დაპატიმრებულთა ცალკე კამერებში დამწყვდევის შესახებ.

∝ „ნოვ. ვრ.“ იტყობინება, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის ტერიტორიაზე გაყვანილ რუსეთის რკინის გზის მმართველობაში უცნაური გარემოება აღმოჩენილა: დღე და ღამ ითვლიან და ანგარიშობენ, მაგრამ დიდ-ძალი ფულის ასავალ-დასავალი ვერ გაუგიათ. ანგარიშით, გზის გაკეთებისათვის დაუხარჯავთ ვითომ 240 მილიონი მანეთი, მაგრამ მმართველობის დავთრებში მხოლოდ 10 მილიონ მანეთის დახარჯვის საბუთებია; ხოლო სად არის დანარჩენი 230 მილიონი მანეთი, არაფერი სჩანს.

∝ უმაღლეს მთავრობას გადაუწყვეტია ფინლიანდიის სახალხო სკოლებისათვის ზოგიერთ რაიონებში იყოლიოს ინსპექტორებათ უთუოდ რუსები.

∝ „როსსია“-ს სიტყვით, იურიევის სასამართლოში ამ დღეებში შემდეგი საინტერესო ამბავი მოხდა: მოწმედ დაბარებულმა მარიამ გერმანმა უარი განაცხადა ფიცის მიღებაზე, რადგანაც ეს საღვთო წერილის წინააღმდეგი არისო; სახელდობრ, მათესაგან სახარებაში სწერია: „იყავნ სიტყვა თქვენი: ჰო, ჰო და არა, არა; ხოლო უმეტესი ამათსა უკეთურისაგან არს“. სასამართლომ, მცირეოდენი თათბირის შემდეგ, დაადგინა არ დააფიცოს ეს მოწმე და ისე ჩამოართვას ჩვენება.

ქუთათური ახალი ამბები

∽ ქუთაისის ახალი გუბერნატორი ბ. სმაგინი თან-და-თან ეცნობა ადგილობრივ დაწესებულებას. 1-ლ ამ თვეს დაათვალიერა ოლქის სასამართლო და გაეცნო მსაჯულებს; 5 დეკემბერს, დილით მივიდა ქალაქის თვითმმართველობაში; ორი დღით წინ გუბერნატორმა შეატყობინა ქალაქის მოურავს — ქალაქის წარმომადგენლების გაცნობა მინდა და მე თვითონ მოვალ თქვენთანო. ასეთი ყურადღება და თავაზიანი მოპყრობა თვითმართველობის წარმომადგენლებისადმი გუბერნიის წარმომადგენლის მხრივ გამხნევებელი მოვლენაა ჩვენში.

∽ ახალი გუბერნატორი დიდის ყურადღებით ეპყრობა მთხოვნელთ: პირველი შესამჩნევი მისი განკარგულება, ადგილობრივი საზოგადოებისათვის საინტერესო, ის არის, რომ დაუყოვნებლივ დანიშნა საკრებულოში მოსასმენლად ოზურგეთის ყოფილი მოურავის ნ. თავდგირიძის საქმე. ეს საქმე სამ თვეზე მეტია, რაც ბრალმდებელისაგან მოსმობილია, მაგრამ სხვათა-და-სხვათა მიზეზთა გამო საკრებულოში დღემდის არ მოუსმენიათ ბრალ-მდებელის აზრი, მიუხედავად იმისა, რომ არა ერთხელ ითხოვა დაზარალებულმა მხარემ საქმის დაჩქარება. ახალმა გუბერნატორმა პირველ დღესვე მიიღო ყოფილი ოზურგეთის მოურავი, მოისმინა მისგან საქმის გარემოება, წერილობითი თხოვნა მიიღო მისგან და დააწერა ზედ, დაუყოვნებლივ ამ დღეებშივე მოხდეს საკრებულოს სხდომა და გაარჩიოს ეს საქმეო.

∽ აქ ამბავი მოვიდა, რომ ჭიათურის მარგანეცის მწარმოებელთა წარმომადგენელს, ბ. გ. ზდანოვიჩს, სასარგებლოდ გაუთავებია საქმე გერმანიაში, ადგილობრივი მწარმოებლებისათვის სასარგებლო პირობები შეუმუშავებია და ამ დღეებში რუსეთში მიდის.

∽ ქუთაისში ორ-სამ განათლებულ ახალგაზრდებს გადაუწყვეტიათ საქართველოს ისტორიის და ლიტერატურის შესასწავლად წრე დაარსონ; უკვე ორი ჯგუფი შემდგარა ასეთი წრის. ორივე ჯგუფში 33 პირია; უმრავლესობა მანდილოსნებია. მოთავე და საქმის სულის ჩამდგმელი ახალ უნივერსიტეტ გათავებული ი. ბ—ეს. ჯერ-ჯერობით მხოლოდ ის შრომობს და აქაურ ახალგაზრდებში კი, როგორც მოსალოდნელი იყო, ფაქტიურ თანაგრძნობას ვერ ჰპოულობს. ვისურვებთ, რომ ამ ახალგაზრდის პატიოსნურ სურვილს ნიადაგი მოუმზადებოს იმ ქუთაისში, სადაც ყოველდღე კეთილი აზრი და წადილები უდროვოდ იმარხებიან.

∽ აქაური რეალური სასწავლებლის ინსპექტორი ბ. მამონტოვი პეტერბურგში გადაუყვანიათ. ეს კაცი შესამჩნევია მით, რომ დედ-მამის გაჭირვებულ მდგომარეობას დიდათ თანაუგრძნობდა ბავშვების მიღების დროს: თვით ჭირისუფლებიდან იწოდებდა დამხმარე პირთ და მათთან ერთად სწევდა ბავშვების საქმეს: «თქვენ დასატევი ადგილი იშოვეთ მოწაფეებისათვის და ჩვენ, მასწავლებელნი შრომას არ გზოგავთო». ასეთი კაცის გადაყვანა, რა თქმა უნდა, დიდი დასაკლისია ჩვენთვის. იმედი გვაქვს ქუთაისლები განასხვავებენ ამისთანა კეთილ ადამიანის მათი წრიდან გამოკლებას და სამაგალითოდ სხვებისთვის განსაკუთრებული პატივისცემით გაცილებენ მას.

პრესსა

გაზეთი „რუსსკი ტურკესტან“ აღგვიწერს მეტად უმწეო მდგომარეობას თურქესტანის მკვიდრთა ბავშვებისა და ქალებისას. წერილის ავტორი შემდეგი სცენის მნახველი ყოფილა: ოლქის სასამართლოს პროკურორის კამერაში მისულა სარტელი დედაკაცი, რომელსაც ხელში ეჭირა ორის წლის ბავშვი, და უთქვამს: «ამ ბავშვის დედა ქმარმა მოჰკლა; ქმარი დაატუსაღეს; ბავშვს აღარავინ ჰყავს მფარველი; მე ღარიბი ვარ და ვერ ვარჩენ და სადაც გინდათ, იქ წაიყვანეთო.“ ადმინისტრაციას ეს ბავშვი გაუგზავნია მამისათვის საპატიმროში, რადგან მთელს თურქესტანში არავითარი დაწესებულება არ არისო, სადაც ბავშვის მიბარება შეიძლებოდესო. ამ ჩვეულებრივ შემთხვევის“ გამო გაზეთი სწერს:

„ვინც ადგილობრივ მკვიდრთა ცხოვრებას ჩაუკვირდება, მისთვის ცხადი შეიქნება, რა საშინელ მდგომარეობაშია მრავალი ობოლი და ღატაკ ღარიბთა შვილი ორთავე სქესისა. ესენი იძულებულნი არიან აუტანელ პირობებში იცხოვრონ. ქუჩებში, მოედნებში და ბაზარზე თქვენ ასობით შეგვხდებათ პატარა ბავშვები, რომელთაც არც სახლი აქვთ, არც კარი და არიან სრულიად ღვთის ანაბარა, ყველასაგან მივიწყებულნი. რუსეთის სხვა ადგილებში ბევრია უსახლ-კარო მაწანწალა, მაგრამ მათში ბავშვებს იშვიათად შეხვდებით, აქ-კი „ბროდიაგა» უმეტეს შემთხვევაში—ბავშია. დღე და ღამ ეს საწყლები ქუჩებში ტრიალებენ და რასა სჭამენ ან სვამენ, ღმერთმა იცის. პატარაობიდანვე ჰკარგავენ ეს უბედურნი ყოველივე კარგს და ეჩვევიან ყოველგვარ საზიზღრობას. კიდევ კარგი, თუ ვინმე მათგანი მდიდარმა სარტმა ან ყირგიზმა აიყვანა; მაშინ ის შიმშილით აღარ მოკვდება, თუმცა მონად ხდება მთელ თავის სიცოცხლეში»...

„ჩვენდა სასირცხოდ უნდა აღვიაროთ, რომ რაცა ხანია შემოვედით და დავმკვიდრდით თურქესტანში და დღემდის არაფერი არ გაგვიკეთებია ამ უბედურთათვის. ჩვენ ყოველისფრით ვსარგებლობთ—მკვიდრთა მუშაობითა და ძალ-ღონით, საშუალებით, იქით-კი აღარას ვაძლევთ. ყოველწელს თურქესტანში იმართება ბევრი ალეგრი თუ წარმოდგენა, ბალი თუ სხვა გასართობი, რომელთაგან დიდი ფული შემოდის მკვიდრებისაგანაც, მაგრამ ამ ფულიდან არაფერი იხარჯება მკვიდრთა ობოლ-ღატაკების შესაწევრად. ნუ-თუ საჭიროა იმაზე ლაპარაკი, რომ ჩვენ, რუსები, მოვალენი ვართ დახმარება აღმოუჩინოთ მკვიდრთ და მოვაწყოთ ობოლთა მფარველობის საქმე“?!

«აგრეთვე გვჭირია ცდა თურქესტნის ქალებისათვის. მათი მდგომარეობაც აუწერელია; ბევრი მათგანი, ბავშობიდან ობლად დარჩენილი, რა-კი ვერავითარ სამუშაოს ვერ შოულობს, ირყვნება და იღუპება. აქაურ ქალნი, რომელნიც საოჯახო მიზეზებისა გამო ქალაქებში ჩამოსულან და საქმეს ეძებენ, სხვა გზა არა აქვთ და ბოლოს უთუოდ საროსკიპოში უნდა მოხვდნენ. გარყვნილების სახლები ჩვენ დავაარსეთ და დავაკანონეთ აქ, ხოლო რადგანაც ქალებს არც განათლებას ვაძლევთ, არც სხვა სახსარს ცხოვრებისას, რადგანაც არ ვუჩვენებთ სხვა გონიერ გზას არსებობისათვის საბრძოლველად, ძალა-უნებურად გზას ვულოცავთ საროსკიპოებისაკენ... დროა ვიზრუნოთ და ვიმუშაოთ ამ განაპირა ქვეყანაში ნამდვილ კულტურულ პირობათა შექმნა-დაჭყარებისათვის“!...

ქიზიყის ამ კარგი

ძალიან ცუდს მდგომარეობაშია ჩაყენებული ქიზიყის მეთვალყურე. საითაც მიიხედავ, სულ არა სასიამოვნო ამბები ისმის. აღნუსხავს ყველა ამას, გამოაქვეყნებს ყველა უწესოებას—თავისთან ერთათ მკითხველსაც გუნებას შეუშლის, მტრებსაც შეიძენს და წყენასა და ტყუილ-უბრალოთ უსიამოვნობას შეეყრება; არ აღნუსხავს და რა იქნება, ფაქტი ფაქტათ დარჩება, ამითი რაც არავის ეზნევა, სარგებლობა არავის მოელის და სხვა გარეშე პირნიც ხომ ვერას გაიგებენ ჩვენსას. მაშ ვინც რა უნდა სთქვას, ბუჯულამ (წისქვილმა) კი ფქვასო და ჩვენც ვაუწყებთ მკითხველ საზოგადოებას ჩვენს ჭირ-ვარამს. მაგრამ საიდან დავიწყოთ, არ ვიცით. გარშემო სოფლებიდან ერთგვარი წუწუნი, სამდურავი და ტირილი გვესმის. ტირიან ქურდობაზე, ცარცვა-გლეჯაზე, ცემა-ტყეპაზე, უპირობა-უსამართლობაზე, დაწვა-გადაბუგვაზე, უამინდობაზე და მოსავლის მაზნევარ მტერთა ბრბო თაგვების გამრავლებაზე. ეს თამამი, თავისებური, ავადმყოფობამდინ თავმოყვარე ქიზიყელი გლეხი, რომელიც თავზე ბუზს არ ისვამდა და მეტს სიტყვის თქმის ნებას არავის მისცემდა, ცოტა არ იყოს, მოტყდა და ტომარა წამოკიდებული, ან მეშოკ ილლიაში ამოჩრილი რაჭველი მთხოვარასავით ცხენით ხელში, ან ვირით, მიდგომია ალაფის დუქანს კარზე და ემუდარება; ფუთში ერთი შაური მაინც დამიკელი, კარგათ ამიწონე, თუ ღმერთი გწამს, და თუ მომივიდა, მოდი და უწინდებურათ იაფათაც მოგყიდი და ზედაც დაგიყრი რამდენსამე ლიტრასაო. ან არა და მისდგომია სამაზრო სამმართველოს და ეღის ამობუზული მაზრის უფროსს და, როცა ეღირსება ნახვა, ემუდარება: ნისიათ დამითმე რამდენიმე ფუთი სათესლე პური, ღმერთი მოწყალეა, კიდევ მომივა და ყოვლის უთქმელათ ჩაგაბარებთო. საკორკოტესავით გამოკრული რა ვაი-ვაგლახით ნაშოვნი თესლი მიაქვს მინდორში და აბნევს.

იქ კი აუარებელი თაგვი გაჩენილა და სულ თავის საზრდოდ მიეზიდება. ეხლა სცდილობენ მოიწვიონ მცოდნე კაცი მოულოდნელ მტერ-თაგვებთან საბრძოლველათ და თუ მალე მოეშველა ვინმე, თავიანთი ნაამაგდარი და რა წვალებითა და დამცირებით შეძენილი საზრდო გამოგლიჯონ მტერს და ან არა და სხვაგან გავლენ სადმე და გარეთ მუშაობით როგორც იქნება დაიკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნილება.

მაგრამ რა ქნან, რა უყონ უხილავ მტერს, რომელიც ერთ ღამეს, თავის საზიზღარ შურის საძიებლათ ერთის ასანთის საშუალებით, სულ რამდენსამე წამს მთლათ ნაცრათ აქცევს მთელს მის მამა-პაპით რამდენიმე წლის განმავლობაში შეძენილ სარჩო საბადებელს? რითი მოუარონ ამმხრივ თავის თავს აღარ იციან. ერთად ერთი საშუალება ჰქონდათ, განაჩენით გადასახლება თავიანთ სოფლიდან მავნე მაზარალებელ ქურდი წევრისა, თუმცა ამით მომეტებულ ნაწილად სოფლის მოხელეები უფრო სარგებლობენ ხოლმე, ვიდრე თვით დაზარალებულნი, მაინც კი ბევრს მართლაც აშინებდნენ, მაგრამ ესეც აღარ შეუძლიანთ და ამის უფლებაც ჩამოაცალეს სოფელს: ერთის სიტყვით, აღარ იციან რითი მოახერხონ და დაიცვან თავიანთი თავი და ქონება ბოროტმოქმედთაგან. რომ ყველა ავკაცობისა და ბოროტ-მოქმედების აღნუსხვამ შორს არ წაგვიყვანოს და არც ვინმემ ნათქვამი ცილის წამებად ჩამოგვართვას, მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს. ამ ცოტას ხანში მარტო სოფელ ვაქირში ორჯელ მოუკიდეს ცეცხლი. პირველათ გაუჩნდა ცეცხლი მედავითნე გიგია ნანობაშვილის საბძელ-კალოს და გადაუწვეს მამა-პაპით შეძენილი კალოს, გუთნის და ვენახში სახმარებელი ავეჯეულობა—500 მან. ღირებული. მეორეთ ცეცხლმა იმსხვერპლა ქევხიანთ ტიტიას საბძელი და შიგ სწორედ იმ დღით ნასყიდი ბზე საქონლის გამოსაკვებათ და კალის ავეჯულობა დაუწვეს სულ 200 მან. ღირებული. ესეთივე შემთხვევები იყო ჩუბლაყშიაც თუ სხვა სოფლებში. შეიძლება ამისთანა ცოტა რამ სხვისთვის დასაკლისი არა იყოს რა, მაგრამ ამათთვის კი დიდი ზარალია.

ბოდბე-მაღაროს და მაჩხაან-მირზაანს ხომ ყაზახელი თათრები აღარ ასვენებენ და წამდა-და-უწუმსტაცებენ ცხენებს და სხვა მსხვილ-ფეხა საქონელს „სოფელი ვნახე უძაღლო, დავიარები უჯოხოთაო“, აი სწორედ ამათზე არის ნათქვამი. ქიზიყელებს იარაღი აჰხსნეს და ყაზახელი თათრები კი შეიარაღებულნი არიან და სარგებლობენ კიდევაც ამ გარემოებით.

ამ ბოროტ-მოქმედებაათ წაუმატეთ ზედ სახელმწიფო გარდასახადის შეკრება. და წელს ხომ ერთი-ორათ წაემატა ხარჯი წინა წლებთან შედარებით. მერე აქნობამდინ ვერ მოაწეს-რიგეს და ვერ შეაწერეს და ხომ მოგეხსენებათ ჩვენი ქართველი კაცის ბუნება, ვიდრე დანა ყელთან არ მივა, არ იფიქრებს ვალის გარდახდაზე. ხომ იცოდნენ, რომ წელს უფრო წამატებულია ხარჯები, მაგრამ რაკი ჯერ გაწერილი არ იყო, არავინ ჰფიქრობდა იმის მოშორებაზე, თუმცა კვლავ ამ დროს, თუ სულ არა, ნახევარზე მაინც მეტი ჰქონდათ ხოლმე მოშორებული და ახლა კი ერთბაშად უნდა შეიტანონ ამ გაჭირვებულ მოუსავლობის დროს და აღარ იციან რითი გადაიხადონ და მოიშორონ აუცილებელი ვალი.

აი ხომ ამ გაჭირვებაშია ხალხი, მაგრამ ზოგიერთი მოხელეები კიდევ პოულობენ დროს წესიერთან უწესო გარდახდევინებისას. ავიღოთ თუნდაც ისევე ამ დღეებში მომხდარი ამბავი. მამასახლისთან მივიდა ქვრივი სოფო დალაქის ცოლი და სთხოვა შვილისთვის ბილეთი. მამასახლისმა ხელ-საწვავი სთხოვა ხუთი მანეთი. ქვრივმა განაცხადა, რომ არა მაქვს ფული და გამომიწერეთ დავთრებიდან რამდენია გარდასახადი, რომ შვილს ვაცნობო, მაზრის უფროსს გამოუგზავნოს და მერე მაინც აიღოს ბილეთიო. აღმოჩნდა, რომ წელს ამ ქვრივისათვის არა შეუწერიათ-რა. მხოლოდ მამასახლისს თავისთვის უნებებია ამ ფულის გადახდევინება. ქვრივმა მაინც სთხოვა პატარა ბარათი ფულის მიღებისა და ხუთი მანეთი შეაჭლია მამასახლისს. მამასახლისმა ბარათი არ მისცა და არც ბილეთი. ქვრივმა როდესაც უჩივლა მაზრის უფროსთან, მამასახლისმა მოახსენა: მართალია, მაგაზე შეწერილი არ არის რა, მაგრამ სოფელს ბევრი გასაღები აქვს და მეც ეგ ფული მისთვის მინდოდაო. თავისი უკანონო საქციელი ვითომ დააკანონა. ერთი სიტყვით, არ ვიცით მაზრის უფროსი როგორ მოექცევა ამ ვაჟბატონს, ხოლოდ ამისთანა ქვრივები და მამასახლისები კი რამდენიმე არიან.

ამდენი სამწუხარო ამბები მინდა ოდნავ სასიამოვნო ამბით დავათავო, თუმცა სხვა დროს ამ ამბებსაც არაფერი მნიშვნელობა ექნებოდა, მაგრამ დღეს ჩვენთვის ესეც დიდი ღვთის წყალობაა. ზოგიერთ სოფლებში გზების შეკეთებას შესდგომიან, არხები გაუჭრიათ და თუ შექვიშეს, ძალიან კარგი იქნება. ანაგის ექსი თვით დაკეტილ ქსენონისათვის ექიმი დუნიშნავთ, თუმცა ჯერ არ მოსულა და ობ-მოდებულ ქსენონის კარები არ გაღებულა. ქვემო მაჩხაანის ქსენონს კი ეშველა და ექიმი მოუვიდა. ექიმათ დაუნიშნავთ ახლათ კურს-დამთავრებული კ. ტურიევი, თვით ქიზიყის შვილი, მხოლოდ ვეჭვობთ კი, რომ დიდხან შეგვრჩეს ეს მაინც არის.

მეზობელი.

ორიოდე სიტყვა შავი-ქვის მრეწველობაზე

შავი-ქვის მრეწველობამ ჩვენს ქვეყანას დიდი და თვალსაჩინო სარგებლობა მოუტანა. შავი-ქვის წყალობით გზა გაეხსნა უცხოეთის კაპიტალს და მოიზიდა იგი ამ აუარებელ სიმდიდრის წარმოებისა და გატანისათვის. ამ გარემოებამ დააინტერესა ხაზინაც და ჩვენი ქვეყნის ერთი მიყრუებული კუთხე რკინის გზის შტოთ შეუერთა კავკასიის აქეთა მხარის უმთავრეს გზას, რომელიც მთელს საქართველოს უკავშირებს აღმოსავლეთის და დასავლეთის ზღვებს და ხმელეთს*). შავი-ქვის წარმოებამ თავი მოუყარა ერთად და ერთს დიდს საქმეში ჩააბა ქართველი მუშები და მრეწველნი, რომელნიც ეცნობიან საერთო მუშაობის, ხელ ფასის, აღებ-მიცემობის, საქვეყნო ბაზრების პირობების მდგომარეობას და მნიშვნელობას და ამ ნიადაგზე გამოცდილებით და ცოდნით აღჭურვილნი მრეწველობის დიდს საქმეს ენერგიულად ჰკიდებენ ხელს. მთავრობის ნება-დართვით ჩვენებურს მრეწველთ ნება მიენიჭათ კრებები ჰმართონ ხოლმე ქ. ქუთაისში და შავი-ქვის მრეწველობის წარმატებისა და განკარგებისათვის საჯაროდ თათბირი იქონიონ. მთავრობისავე ნება-დართვით დაარ-

---

*) ფოთის ნავთ-სადგურის საქმე, რომელიც სამუდამოდ მივიწყებული და დაღუპული იყო, ჩვენი მხნე და უნიჭიერესი მოღვაწის ნ. ი. ნიკოლაძის მეოხებით, შავი-ქვის საზღვარ-გარეთ და რუსეთში გაზიდვამ კვლავ წამოაყენა და განაცხოველა მოსაწყობად და გასაუმჯობესებლად, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება მთელი საქართველოს ავლა-დიდების და საქონელთა ექსპორტისათვის. ავტ.

სდა ჩვენში მრეწველების კრებათა აღმასრულებელი ოფიციალური ორგანო—რჩევა, სადაც მოწვეულნი და არჩეულნი არიან მცოდნე და ნიჭიერი კაცები ამ შესანიშნავი საქმის გასაძღოლად.

ამ მრეწველთა კრებებს და მის ორგანოს—რჩევას ნება აქვს დართული რკინის გზით გატანილ ფუთ შავ-ქვაზე $^1/_2$ კაპ. აიღოს, რაც ყოველ წლივ იძლევა 50.000-დან **150.000**-მდე მანათს. ამ ფულებს რჩევა ახმარებს შავი-ქვის მრეწველობის საზოგადო საჭიროებას. ჭიათურის არე-მარეზე და იმის მიდამოებში ამ ფულებით კეთდება და უმჯობესდება გზები, ხიდები, გამოყავთ კარგი, უწყინარი სასმელი წყალი, ინახვენ საავადმყოფოს ამბულატორიით მუშებისა და მრეწველთათვის, კეთდება მუშათა დაზღვევის საქმე, მართვენ სახალხო თეატრს, პრაქტიკულს სამთო კურსებს, საოჯახო ლექციებს, აკეთებენ აბანოებს, სკოლას და ეკკლესიას, აწყობენ ელექტრონულ განათებას, დახმარებას უწევენ ჭიათურის საურთიერთო ნდობის საზოგადოებას, რომელმაც დაიწყო თვისი მოქმედება მდგომარე წლის პირველს ივლისში და, რაც უფრო საყურადღებოა ჩვენთვის, ამ ფულებით რჩევა რამდენიმე სტიპენდიანტს ზრდის სპეციალურს საშუალო და უმაღლესს სამთო სასწავლებელში რუსეთსა და ევროპაში...

აი, ამდენი სარგებლობა, ამდენი მადლი დაატრიალა საქართველოში ამ ერთად ერთმა მრეწველობამ. შეგვიძლიან თამამად ვსთქვათ, რომ მთელს კავკასიაში, ნავთის წარმოების გარდა, არ არის არც ერთი საქმე, რომელიც საქვეყნო სარგებლობით, ნაყოფიერობით და მადლით შეედარებოდეს შავი-ქვის წარმოების საქმეს.

მაგრამ ამ ფრიად სასარგებლო და დიდმნიშვნელოვან საქმეს ამ მდგომარე 1091 წელს თავზე დაატყდა კრიზისი, რომელმაც შეხუთა შავი ქვის მუშაობა და ამ ნამუშევარის გაზიდვა საზღვარ-გარეთ. ასეთი მდგომარეობა საქმისა შედეგია, ერთის მხრით, მთელ მსოფლიო სამეტალურგიო მრეწველობაში ჩამოვარდნილ კრიზისისა და, მეორე მხრით, სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით კი ბრაზილიის შავი-ქვის წარმოების კონკურენციისა

სამეტალურგიო მრეწველობაში ყოველგვარ პროდუქტებზე ფასების საშინლად დავარდნის საქმეს აქ არ შევეხები, რადგან ეს ყველას გაგებული ექმნება. მივაქცევ მკითხველის ყურადღებას უფრო იმ მხარეს, რომელსაც დიდი კავშირი აქვს შავი-ქვის წარმოებასთან, სახელდობრ, ფერრო-მანგანის მრეწველობას.

ოფიციალური ცნობების თანახმად, ფერრო-მანგანის ერთი ტონი (ინგლისური ტონი=62 ფუთს) ინგლისის ბაზარზე შარშან, 1900 წ. იანვრის თვეში ფასობდა 17 გირვანქა სტერლინგი (1 გირვანქა სტერლინგი=10 მან.). ერთი წლის შემდეგ, მდგომარე **1901** წ. იანვრის თვეში ერთი ტონის ფასი 11 გირვანქა სტერლინგამდე დავარდა და შემდეგ ზედმოყოლებულ თვეებში ფასი ისე დაეცა, რომ, მაგალითად, ტიბათვეში 9 გირვანქა სტერლინგზე ჩამოვიდა...

ეგევე ამბავი მოხდა ამერიკის ბაზარზედაც. 1900 წ. იანვრის თვეში ფერრომანგანის ერთი ტონი ღირდა 125 დოლლარი (დოლლარი=2$^1/_2$ მანეთს). ერთი წლის შემდეგ, მდგომარე 1901 წ. იანვარში ერთი ტონის ფასი 62 დოლარამდის და 50 ცენტამდის (ცენტი=$^1/_{100}$ დოლლარისას) დავარდა და აგვისტოში 54 დოლ. 55 ცენტამდის დავიდა...

ამ გარემოებამ, რა თქმა უნდა, დასცა ფასები შავი-ქვისაც, როგორც ფერრომანგანის ერთი უმთავრესი შემადგენელის ლითონისა. 1900 წლის პირველს ნახევარში შავი-ქვის ლითონის ერთი პროცენტი*) ღირდა 13—13$^1/_2$ პენსი (პენსი=4 კაპ.), წლეულს კი ფასი შავი ქვისა დავარდა 9—9$^1/_2$ პენსამდე.

ამ არა სასიამოვნო გარემოებას ისიც ზედ დაერთო, რომ ჩვენებურს შავს ქვას სოფლიო ბაზარზე ამ ჟამად დიდს კონკურენციას უწევს ბრაზილიის (ამერიკის სამხრეთი) მარგანეცი. ბრაზილიაში აღმოჩნდა ძალიან მდიდარი შავი ქვის მადნები. იქაური შავი ქვა თავისი ღირსებისა და თვისებით სრულებით არ ჩამოუვარდება ჩვენებურს შავქვას. ჩამოუვარდება კი არა, კიდეც სჯობია თურმე ჩვენებურს. ბრაზილიის შავქვას ფოსფორი და კაჟნარი თურმე ძალიან ცოტა ურევია—0,05% ფოსფორი და 3% კაჟნარი; ჩვენებურს შავ-ქვას კი—0,12—0,18% მდის ფოსფორი აქვს და 6—12% კაჟნარი. ამ დიდი ღირსების გამო ბრაზილიის მარგანეცის ლითონის ერთი პროცენტი ერთი-ორი პენსით უფრო ძვირად იყიდება ბაზარზე, ვიდრე ჩვენებური შავი-ქვა.

ამას გარდა ბრაზილიის მარგანეცი ადგილობრივ ხარჯებიანა ნავთ-სადგურამდი (რიო-დე-ჟანეირო) ჩატანით ერთი ტონი ჯდება 18 შილლინგი (შილლინგი=48 კ.), ან ერთი ფუთი **14,75** კაპ., მაშინ როდესაც მარტო ერთი ჩატანა ჭიათურიდან ჩვენებურ ნავთ სადგურამდი — ფოთამდის ერთი ფუთი შავი ქვა ჯდება 12 კაპ. მადნიდან იმის გამოღება და ჭიათურის რკინის გზის სადგურზე მიტანა კიდევ სხვაა—ფუთი 8 კ. ჯდება მარტო ეს უკანასკნელი საქმე. ამ ნაირად ჩვენებურს მრეწველს ფუთი შავი ქვა ნავთ სადგურამდი ჩატანით უჯდება ერთი აბაზი და ბრაზილიელს მრეწველს კი—14 კაპეიკი.

ასეთი დიდი განსხვავება სუფევს ჩვენებურსა და ბრაზილიის შავი ქვის წარმოების საქმეში. ეგ განსხვავება დაჰბადა ჭიათურის რკინის გზის შტოზე დაწესებულმა განსაცვიფრებელმა ტარიფმა. უნდა ვსთქვათ, რომ ისტორიამ არსად არ იცის ჯერ ასეთი საარაკო ტარიფი. ერთს ფუთს ჩვენებურს შავ-ქვაზე ჭიათურის გზის—38 ვერსტის გადატანაში ჩვენებური მრეწველი იხდის 7,50 კაპ., ბრაზილიელი მრეწველი კი იხდის მადნებიდან რიო-დე-ჟანეირომდე 500 კილომეტრის ანუ 468 ვერსტის სიშორეზე 4 კ. ფუთზე. შორაპნის სადგურიდან ფოთამდის რკინის გზა კიდევ ცალკე ახდევინებს ჩვენებურს მრეწველს—2,27 კაპ. ფუთზე, ესე იგი, სულ ჭიათურიდან ფოთამდის 160 ვერსტზე ერთი ფუთის შავი-ქვის გადატანაში მრეწველი იხდის—**9,77** კაპ. (**7,50+2,27=9.77**).

როგორც ხედავთ, ჩვენი შავი-ქვის წარმოების საქმე, ბრაზილიის შავი-ქვის წარმოებასთან შედარებით, ძალიან ცუდსა და აუტანელს მდგომარეობაშია და იგი, თუ ამ მდგომარეობიდან როგორმე არ გამოვიდა, მიუცილებლად დაიღუპება...

ჭიათურის შავი-ქვის ოფიციალური ორგანოს—რჩევის თავმჯდომარე სატარიფო კრებას პეტერბურგში მდგომარე წლის 4 ქრისტეშობისთვეს წარუდგენს ფრიად დიდ მნიშვნელოვანს მოხსენებას, რომელიც სავსეა საინტერესო სტატისტიკურის ცნობებით. ეს მოხსენება ყველას აშკარად დაანახვებს ასეთი დიდი ტარიფის აუტანლობას და, იმედია, ამ საგანს მიაქცევენ განსაკუთრებულს ყურადღებას, ჭიათურის შტოზე დააწესებენ ნორმალურს ტარიფს, და მით კვლავ გააცხოველებენ ამ ჟამად მიმკვდარებულს შავი-ქვის წარმოებას.

ხომლელი.

---

*) ერთი ტონი კავკასიის შავი-ქვა, შარშანდელი ანალიზის თანახმად, შეიცავს: მარგანეცის ლითონს 48—50%, კაჟნარს 6—12%, ფოსფორს 0,12—0,18%. აი, მარგანეცის ლითონის ერთი პროცენტი თუ ღირდა 13—13$^1/_2$ პენსი, მაშასადამე, ერთი ტონის ფასი იქმნება: **13×50%.**

პროვინცია

ს. ხვარბეთი (გურია). 2-ს დეკემბერს აქ მობრძანდა მაზრის უფროსი ბ. ლაზარენკო, ადგილობრივ ბოქაულ სალაყაიას თანხლებით. მიზანი ბ. მაზრის უფროსის მობრძანებისა იყო თანამდებობიდან გადაყენებულის მამასახლისის გ. ბარამიძის მაგიერის არჩევა. გ, ბარამიძე 1899 წ. დეკემბერში აირჩიეს მამასახლისად და რადგან ტოტათი ნასწავლი კაცი არის, საზოგადოებას სრული იმედი ჰქონდა, რომ ნამდვილ სამსახურს გაუწევდა საზოგადოებას, მაგრამ, სამწუხაროდ, იმედი სრულიად ვერ გაამართლა. პირიქით, ბევრიც წაახდინა. რასაკვირველია, შემდეგ ხომ აღარ შეიძლებოდა მისი მამასახლისობა. ამისათვის იგი სამსახურიდან დაითხოვეს და პასუხის გებაშიაც მისცეს; ბ. მაზრის უფროსმა საზოგადოებას წინადადება მისცა ბარამბიძის მაგიერი ამოირჩიოთ. ერობამ ერთხმად აირჩია 1890—1893 წ. მამასახლისად ნამყოფი ბ. მარგალიტაძე. უკანასკნელმა უარი განაცხადა, მაგრამ მაზრის უფროსმა მაინც დაიყოლია.

მეტად სასიხარულოა მარგალიტაძის მამასახლისად არჩევა, რადგან მან წინად ბევრი კარგი საქმე გააკეთა. მაგალითად: მის ხელში გაკეთდა გზები, სკოლა ორკლასიანად გადაკეთდა და სხვ. ის სკოლის მზრუნველადაც ითვლებოდა. ახალი მამასახლისის დიდი იმედი აქვს საზოგადოებას და, ვგონებთ, გამართლდება კიდევაც.

გ. გობეჩია

გამომცემელი და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება

საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში

სიმონ ქვარიანის ლექსები

ფასი 25 კაპ.

ვისაც უნდა ფას-დადებით იყიდოს, მან უნდა მოგვმართოს ჩვენ: Квирилы. Типографія Гачечиладзе. (5—1)

„წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის“

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ალ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთვის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისი	—	30
ალა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. ვ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

ГОДЪ XVIII. Открыта подписка на 1902 годъ ГОДЪ XVIII.

на издающуюся въ городѣ Ставрополѣ-Кавказскомъ общественно-литературную и политическую газету

„Сѣверный Кавказъ“

(съ Октября 1901 г. форматъ газеты увеличенъ)

выходящую три раза въ недѣлю—по вторникамъ, четвергамъ и субботамъ—и посвященную выясненію нуждъ края, названіе котораго она носитъ.

ВЪ ПРОМЕЖУТОЧНЫЕ ДНИ—среду, пятницу и воскресенье выходятъ ТЕЛЕГРАММЫ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

Съ доставкой и пересылкой:		Безъ доставки и пересылки:	
На годъ	5 р. 50 к.	На годъ	4 р. 50 к.
„ полгода	3 „ — „	„ полгода	2 „ 50 „
„ 3 мѣсяца	1 „ 75 „	„ 3 мѣсяца	1 „ 50 „
„ 1 мѣсяцъ	— „ 60 „	„ 1 мѣсяцъ	— „ 50 „

Суммы менѣе рубля можно высылать почтовыми марками.

Допускается разсрочка платежа—по соглашеію съ редакціей

АДРЕСЪ: Ставрополь-Кавказскій, редакція „Сѣвернаго Кавказа“. Телефонъ № 36.

Пріемъ объявлеій: въ Ставроп.-Кавк. въ ред. и тип. „Сѣв. Кавк.“; въ Москвѣ и Петербургѣ въ конт. Торг. Дома Л. и Э. Метцль и Kº.

Издатель В. В Беркъ. Редакторъ Д. И. Евсѣевъ. (ვ. 3—1)

(33-й годъ изданія) Открыта подписка на 1902 годъ (33-й годъ изданія)

На еженедѣльный илюстрированный журналъ

СО МНОГИМИ ПРИЛОЖЕНІЯМИ

„Н И В А.“

Гг. подписчики „НИВЫ“ получать въ теченіе 1902 года:

52 №№ художественно-литературнаго журнале „НИВА.“ заключающаго въ себѣ въ теченіе года около 1500 столбцовъ текста и 500 гравюръ и рисунковъ.

Первые **12 ТОМОВЪ** полнаго собранія сочиненій

Н. С. ЛѢСКОВА,

отпечатанныхъ четкимъ шрифтомъ на хорошей бумагѣ, съ портретомъ и біографическимъ очеркомъ, составленнымъ Р. И. Сементковскимъ. Остальные томы сочиненій Лѣскова, значительно дополненныхъ произведеніями, не вошедшими въ прежнія изданія или еще вовсе не напечатанными, подписчики получать въ 1903 году. Въ первые 12 томовъ воидутъ романы: Соборяне.—Обойденные.—Островитяне.—Некуда. Разсказы: Запечатлѣнный ангелъ.—Однодумъ.—Кадетскій монастырь.—Русскій демократъ въ Польшѣ.—Инженеры-безсребренники.—Косой лѣвша.—Очарованный странникъ.—Шерамуръ.—На краю свѣта и мн. друг.

12 ТОМОВЪ полнаго собранія сочиненій

В. А. ЖУКОВСКАГО,

расширеннаго формата, въ 2 столбца, отпечатанныхъ четкимъ шрифтомъ на хорошей бумагѣ, съ портретомъ и біографическимъ очеркомъ поэта. Въ эти 12 томовъ, которые будутъ изданы подъ редакціею знатока Жуковскаго, профессора А. С. АРХАНГЕЛЬСКАГО,—войдутъ лирическія стихотворенія, баллады, повѣсти въ стихахъ, сказки, посланія, мелкія стихотворенія, прозаическія произведенія, дневникъ и письма: Людмила.—Пѣвецъ во станѣ русскихъ воиновъ.—Овсяный кисель.—Шильонскій узникъ.—Поликратовъ перстень.—Кубокъ.—Спящая церевна.—Война мышей и лягушекъ.—Сказка о царѣ Берендеѣ.—Ночной смотръ.—Сельское кладбище—Орлеанская дѣва.—Ундина.—Наль и Дамаянти.—Рустемъ и Зорабъ.—Одиссея и мн. друг., равно какъ и цѣлый рядъ еще неизданныхъ поэтическихъ произведеній знаменитаго писателя

12 КНИГЪ «ЕЖЕМѢСЯЧНЫХЪ ЛИТЕРАТУРНЫХЪ ПРИЛОЖЕНІЙ», содержащихъ романы, повѣсти, популярно-научныя и критическія статьи и проч.—СОВРЕМЕННЫХЪ авторовъ.

12 №№ „ПАРИЖСКИХЪ МОДЪ“, выходящихъ ежемѣсячно и содержащихъ до 300 модныхъ гравюръ по фасонамъ лучшихъ мастеровъ.

12 ЛИСТОВЪ рукодѣльныхъ и выпильныхъ работъ (около 300) и до 300 чертежей выкроекъ въ натуральную величину, выходящихъ ежемѣсячно.

„СТѢННОЙ КАЛЕНДАРЬ“ на 1902 годъ, отпечатанный красками.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА: на годовое изданіе со всѣми приложеніями: безъ доставки: 1) въ С.-Петербургѣ—**5** руб. **50** коп.. 2) въ Москвѣ въ конт. Н. Н. Печковской (Петровск. линіи)—6 руб. 25 к.. 3) въ Одессѣ въ кн. маг. „Образованіе“ (Ришельевск., № 12)—6 руб. 50 к., съ доставкой въ С.-Петербургѣ—**6** руб. **50** коп., съ пересылкою во всѣ мѣстности Россіи **7** руб. за границу—**10** руб.

Требованія просятъ адресовать: въ С.-Петербургъ, въ главную контору журнала „НИВА“ (А. Ф. Марксу), Малая Морская, д. № 22. (ვ. 7—5)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Декабря 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობის.